



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 76

2015 წლის 25 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების (არდოტიდან ხახაბო ორწყლამდე დაზიანებული საავტომობილო გზის; შატილი ხონისჭალის გზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა), ხიდის შესაკეთებლად საჭირო მასალების, ვიზიტორების ბანაკამდე წყლის მისაყვანად საჭირო მასალების, სცენის შესაკეთებლად მასალების და ნაპირსამაგრი გაბიონების მოსაწყობად საჭირო მასალების უმოკლეს დროში შეძენას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებულ ობიექტებზე შექმნილია ძვირფასი ვითარება და მათი დროული შეკეთება აუცილებელია მოსახლეობისათვის, ამასთან, იწურება ზაფხული რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო შეუძლებელი გახდება სამუშაოების წარმოება, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა შექმნილ ვითარებას აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების (არდოტიდან ხახაბო ორწყლამდე დაზიანებული საავტომობილო გზის; შატილი ხონისჭალის გზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა), ხიდის შესაკეთებლად საჭირო მასალების, ვიზიტორების ბანაკამდე წყლის მისაყვანად საჭირო მასალების, სცენის შესაკეთებლად საჭირო მასალების და ნაპირსამაგრი გაბიონების მოსაწყობად საჭირო მასალების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 47 493 (ორმოცდაშვიდი ათას ოთხას ოთხმოცდაცამეტი) ლარზე.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი